

გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება - აგრარული მეცნიერებების მიმართულებით;
- აგრონომიული საქმიანობის მიმართულებით მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება;
- სასურველია უცხო ენის (ინგლისური ენა/რუსული ენა) ცოდნა;
- სასურველია ძირითადი საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS office Word, Excel, Power Point) დამაკმაყოფილებელ დონეზე ცოდნა.
- ექსტრემალურ ვითარებაში მუშაობის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომუნიკაბელურობა;
- ენერგიულობა;
- გამართული მეტყველების უნარი;
- ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- კოლეგიალობა;
- ანალიტიკური აზროვნება;
- დაძაბულ რეჟიმში მუშაობისა და დროის მართვის უნარ-ჩვევები;
- ფუნქციური წერის უნარი;
- პროფესიული უნარ-ჩვევები.

2. საკონკურსო თემატიკა:

კონკურსანტს მოეთხოვება შემდეგი საკითხების ცოდნა:

1. მცენარეთა დაცვა ყვავილოვანობაში და დეკორატიულ მცენარეობაში;
2. ძირითადი ცნობები ყვავილოვან-დეკორატიული მცენარეების მავნებლებზე;
3. დეკორატიული მცენარეების მავნებლებისგან დაცვის საშუალებები;
4. შხამ-ქიმიკატების გამოყენების ტექნიკა;
5. მავნებლებისგან დაცვის მეთოდები;
6. ყვავილოვან-დეკორატიული მცენარეების მავნებლები;
7. ყვავილოვანი ერთწლიანი და მრავალწლიანი მცენარეების მავნებლები;
8. მერქნიანი (ხეები, ბუჩქები, ლიანები) დეკორატიული მცენარეების მავნებლები;
9. ორანჟერიის კულტურების მავნებლები;
10. გაზონის ბალახეულის მავნებლები;
11. ოთახის ყვავილოვან-დეკორატიული მცენარეების მავნებლები;
12. დეკორატიული ყვავილოვან-ბალახოვანი და მერქნიანი მცენარეების მავნებლებთან ბრძოლის მეთოდები და საშუალებები;
13. დეკორატიული მებაღეობისა და ლანდშაფტური დიზაინის განვითარება, თანამედროვე მდგომარეობა, ლანდშაფტური ობიექტების ფორმირების ისტორიული გამოცდილება;
14. დეკორატიული მებაღეობის ზოგადი საკითხები;

- გარემოს ნიადაგურ-კლიმატური პირობების გავლენა მცენარის ზრდა-განვითარებაზე, ნიადაგთმცოდნეობა და მცენარის ეკოფიზიოლოგია: მცენარის დამოკიდებულება გარემო ფაქტორებისადმი და გამძლეობა; ნიადაგის თავისებურებები და ნაყოფიერების ამაღლება; სასუქების გამოყენების თავისებურებები; ნიადაგის დამუშავების მეთოდები; ზრდის რეგულატორების გამოყენება დეკორატიული კულტურების გამოყვანის გაუმჯობესების მიზნით; სარეველებთან ბრძოლის მეთოდები.
 - მცენარის გამრავლების ხერხები: თესლით გამრავლება, დეკორატიული ბალახოვანი და მერქნიანი მცენარეების ნაყოფისა და თესლის თავისებურებები, თესლის აღების ვადები, მეთოდები, თესლის დამუშავება და შენახვა, მომზადება დასათესად, თესვა; ვეგეტატიური გამრავლების სხვადასხვა მეთოდი; გამრავლების თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მეთოდები.
 - მცენარეთა დაცვა და ენტომოლოგია: ყვავილოვანი და მერქნიანი მცენარეების მავნებელ-დაავადებები; ორანჟერიის კულტურების მავნებელ-დაავადებები; გაზონის ბალახეულის მავნებელ-დაავადებები; მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის მეთოდები.
15. ლანდშაფტი, როგორც დეკორატიული მებაღეობის ძირითადი ობიექტი:
- დეკორატიული მებაღეობის ობიექტები: პარკები, სკვერები, ბულვარები ა.შ.; პეიზაჟური და რეგულარული პარკები; მწვანე ნარგავების კლასიფიკაცია; დეკორატიული მებაღეობის ობიექტების დაგეგმარება.
 - ყვავილოვანი ბალახოვანი მცენარეები დეკორატიული მებაღეობის ობიექტებზე: ყვავილნარები და მათი კლასიფიკაცია; ყვავილნარების ესკიზის შედგენა; ყვავილები კონტეინერებში; დეკორატიული გაზონები, ბალახის შერჩევა და გაზონის მოწყობა; გამწვანების პრინციპები; ბალახოვანი ყვავილოვანი კულტურების სახეობები და მათი მორფოლოგიური თავისებურებები; დაცული და ღია გრუნტის ყვავილოვანი მცენარეები; ერთწლიანი, ორწლიანი და მრავალწლიანი ყვავილოვანი კულტურების ეკობიოლოგიური თავისებურებები და მათი გამოყვანის აგროტექნიკა.
 - მერქნიანი მცენარეები დეკორატიული მებაღეობის ობიექტებზე: დეკორატიული მერქნიანი ხეების, ბუჩქებისა და ლიანების ასორტიმენტი; ბოტანიკური სისტემატიკა; ეკობიოლოგიური თავისებურებები, დამოკიდებულება ნიადაგურ-კლიმატური ფაქტორების მიმართ და შესაბამისი კლასიფიკაცია; მოვლა-მოყვანის აგროტექნიკა; გამრავლების თავისებურებები; მერქნიანი მცენარეების არქიტექტონიკა; კლასიფიკაცია სიმალლის, ზრდის ტემპის, ვარჯის ფორმისა და სიმჭიდროვის, დატოტვის ტიპების, შეფოთვლის თავისებურებების და შეფერილობის, ყვავილობის ხარისხისა და ყვავილობის ვადების, ნაყოფობის ვადებისა და ნაყოფების დეკორატიულობის მიხედვით; დეკორატიული მერქნიანი ხეების, ბუჩქებისა და ლიანების ხელოვნური ფორმირება, გასხვლა-ფორმირების თავისებურებები; მერქნიანი მცენარეებით შექმნილი ნარგავების კლასიფიკაცია, გამწვანების სახეები.
16. დეკორატიული მცენარეები ინტერიერში: ინტერიერის გამწვანების პრინციპები, ტიპები, კომპოზიციათა სახეები, მცენარეული ასორტიმენტი.

3. ფუნქციები:

1. ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების შრამ-ქიმიკატებით წამლობით ღონისძიებების ჩატარება (ბუგრების, ტკიპების, ფარიანების, ცრუფარიანების, ბაქტეროლოგიური და სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ);

2. დაავადებებისა და საკარანტინო ღონისძიებების გავრცელების კერების დადგენა, რის საფუძველზეც წამლობითი ღონისძიებების ჩატარების გეგმა-გრაფიკის შედგენა/შესრულება;
3. საჭიროების შემთხვევაში ნიადაგიდან სინჯების აღება აგროქიმიური ანალიზის ჩასატარებლად და ნიადაგის ვარგისიანობის დადგენა;
4. ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გაზონების, მწვანე ნარგავების, დეკორატიული მცენარეების, ერთწლიანი და მრავალწლიანი ყვავილების მოვლა-პატრონობა და მათი დეკორატიული ფორმირება;
5. ხე-მცენარეების გასხვლა/გაფორმება; ნიადაგის მომზადება სეზონური ყვავილებისა და მრავალწლიანი ხე-მცენარეების დასარგავად;
6. დეკორატიული ხე-მცენარეების შერჩევის, მისი განაშენიანების სამუშაოების წარმოება;